# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).


**№ 11** **1883-1891** 15 ივნისი.



გაზეთის ფასი:

| «მწყემსი» | | «მწყემსი» რუსული გამოცემით | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 5 მან. | 12 თვით | 6 მან. |
| 6 — | 3 — | 6 — | 4 — |

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: *въ Кваирилы. Въ редакцію „Мцкемси" и „Пастырь".*

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც იქნებიან დასაბეჭდავათ გამოგზავნილნი ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.


## კიდევ ქართული საეკკლესიო გალობის შესახებ.

1884 წელში თფილისში დაიხურა ქართული საეკკლესიო გალობის აღმადგინებელი კომიტეტი, რომელიც ოცი წლის განმავლობაში არსებობდა. ეს კომიტეტი დაარსდა აწ უკვე გარდაცვალებულის მაღალ ყოვლად სამღვდელო საქართველოს ექსარხოსის ევსევის თაოსნობით. უკანასკნელ დროში მაღალ ყოვლად სამღვდელომ, საქართველოს ექსარხოსმა, მთავარ-ეპისკოპოსმა პავლემ ინება, რომ ხსენებულს კომიტეტს ან შეესრულებია თავისი მოვალეობა და ან იგი დახურულიყო. კომიტეტის წევრებმა, ცოტა არ იყოს, გაიღვიძეს და მუყაიათად მოჰკიდეს ხელი გალობის საქმეს. მათ მოიწვიეს საერო წოდებიდგან გალობის მცოდნე პირები და შეუდგნენ საქმეს კიდეც, მაგრამ საქმეში ჩაერიენ ისეთი პირები, რომელთაგან ზოგმა ქართული გალობის სიძულილით და ზოგმა თავიანთ მოურჩილ მონობით ხელი შეუშალეს გალობის აღმადგინებელ კომიტეტს. ამ დროს პატივცემულმა ყოვლად სამღვდელო ალექსანდრემ, გორის ეპისკოპოსმა ქართლ-კახური კილოს გალობის ნოტებზედ გადაღება თვითონ იკისრა თავის ხარჯით. ამის გამო


თბილისი

კომიტეტი, რომელიც ოც წელზედ მეტი არსებობდა და არასფერი არ გაუკეთებია, სულ დაიხურა. შეიტყო თუ არა ეს საქმე იმერეთის და სამეგრელოის სამღვდელოებამ, მათ თავიანთ ეპარქიალურს კრებაზედ მოილაპარაკეს და გარდასწყვიტეს ქართული საეკკლესიო გალობის აღმადგინებელი კომიტეტის დაარსება ამ სტრიქონების დამწერის თავმჯდომარეობით. ჩვენ ჩვენის მხრით მივიღეთ ყოველივე ზომა ამ ფრიად საჭირო საქმის სისრულეში მოყვანისათვის, შევაგროვეთ ფულები და გადავიღეთ ნოტებზედ ოთხასი საგალობელი. ნოტებზედ გადაღებული გალობა გასაშინჯად იგალობეს აქა-იქ იმერეთში და სამეგრელოში და საზოგადოებამ ყველგან მოიწონა ეს გალობა და დაამტკიცა, რომ ეს ისეთივე გალობა არის, როგორსაც გალობდნენ და დღესაც გალობენ მცოდნე მგალობელნიო. ამ ნოტებზე გადაღებული საგალობელთა დაბეჭდვისათვის ბევრი ვეცადეთ, ბევრი ვევაჭრეთ სხვა-და-სხვა ლიტოგრაფიის პატრონებს, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მათი დაბეჭდვა საძნელო შეიქმნა უფულობისაგამო. თუ ეს ნოტებზე გადაღებულ საგალობლები ასე უყურადღებოდ დარჩენ ჩვენი სამღვდელოებისა და საზოგადოებისაგან, ადვილი შესაძლებელია, რომ ბოლოს ეს ამოდენი შრომა სულაც დაიღუპოს.

საზოგადოებაში ხშირად გესმისთ სამდურავი სამღვდელოებაზედ, რომ მან საეკკლესიო გალობა არ იცისო. ჩვენც ვეთანხმებით ამ ბატონებს. მართალია, რომ ჩვენს ეკკლესიებში ქართული გალობის მცოდნე პირები თან-და-თან კლებულობენ და ბოლოს ეს გალობა სულ მოისპობა. მაგრამ გვიკვირს, რომ საზოგადოება ამ შემთხვევაში თავის თავს დამნაშავედ არა სცნობს. ვის ეკუთვნის ეკკლესია? მრევლს. ვისი მოსამსახურეა მღვდელი და მედავითნე? ეკკლესიის და მრევლის. როდესაც ეკკლესია ცუდ მდგომარეობაშია, დასაძრახავია ამ ეკკლესიის მღვდელი, მაგრამ ერთი ორად გასაკიცხია მრევლი. თუ ეს ასეა, ნუ თუ საზოგადოება ვალდებული არ არის, რომ იზრუნოს ქართული საეკკლესიო გალობის აღდგინებისათვის და მიიღოს მხურვალე მონაწილეობა ამ ფრიად სასარგებლო საქმეში ერთად სამღვდელოებასთან? საჭიროა, რომ ჩვენმა საზოგადოებამ ამ საქმეს ყურადღება მიაქციოს და იზრუნოს ნოტებზე გადაღებული საგალობლების დაბეჭდვისათვის.

ხშირად ჩვენი თავად-აზნაურობა თავის ბანკის შემოსავლიდგან სამოწყალოდ აძლევს ათასობით და ორი ათასობით ისეთ პირთ, რომელნიც გამოუდევრათ და უსარგებლოდ ხარჯვენ ამ ფულებს. ამას გარდა ამისთანა მოწყალების მიცემით ჩვენი თავად-აზნაურთა კრება, სამწუხაროდ, ამრავლებს ჩვენში მოწყალების მათხოვარ პირთა რიცხვს. ამ მათხოვრებს გვერდში ამოუდგებიან ხოლმე ზოგიერთი მოსამსახურე ჯამაგირიანი პირებიც და ელიტინებიან საზოგადოებას ჯამაგირების მომატებას, რადგან მათ არა ჰყოფნისთ ათასი და ორი ათასი მანეთი!.. ნუ თუ საზოგადოება უარს ვერ ეტყვის მათ და თავისუფალს ფულს უფრო კეთილ საქმეზედ ვერ მოიხმარს? ნუ თუ არ შეუძლია თავად-აზნაურთა კრებას, რომ ამ ფულებიდგან ცოტა-ოდენი თანხა გადადვას, რათა ნოტებზე გადაღებული საგალობლები დაიბეჭდოს?

თუ სრულიად ხმას არავინ გასცემს ჩვენს წინადადებას, და არც არავინ ყურადღებას მიაქცევს ამ საქმეს, მაშინ ზნეობითად ვალდებულია ჩვენი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომ მან შეიძინოს ეს ნოტებზე გადაღებული საგალობლები. თუ ეს საზოგადოება მის დაბეჭდვას ვერ მოახერხებს, საიმედო ადგილას მაინც იქნება შენახული ეს ნაშრომი. იმერეთის და სამეგრელოს სამღვდელოება დიდის სიამოვნებით ათხოვებს ამ დამუშავებულ ნოტებს გადასაწერად და ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი ალექსანდრეც, თუ თვითონ ვეღარ იკისრებს იპოდიტოვ-ივანოვისაგან ნოტებზე გადაღებულ ქართულ საეკკლესიო გალობის დაბეჭდვას, ათხოვებს ამ ნაშრომს გადასაწერად ხსენებულს საზოგადოებას. ჩვენის აზრით, ეს დიდი შეძენა იქმნება წერა-კითხვის წიგნთ-საცავისაგან. ეს საზოგადოება არ უნდა მოერიდოს იმ მცირე ხარჯს, რომელიც მოუვა მასს ნოტების გადაწერისათვის.

ქართული გალობის აღმადგინებელი კომიტეტის
თავმჯდომარედ ყოფილი დეკ. დ. ღ—ძე.

ეროვნული

## † დავით იესეს ძე ჩუბინაშვილი.

დავით იესეს ძის ჩუბინაშვილის დაკარგვით ქართველობამ დაჰკარგა დიდად ღვაწლ-მოსილი კაცი, ჩვენმა ქვეყანამ—თავისი ჭეშმარიტი შვილი, საქართველოს მწიგნობრობამა და ჩვენმა ნორჩმა საისტორიო და სალექსიკოგრაფიო მეცნიერებამ—იშვიათი მოყვარე, დიდი მოკეთე და მოტრფიალე. არ გვეგულება თითქმის ისეთი მცირეოდნად ნასწავლი და გაგებული ქართველი, რომ დავით იესეს ძის სახელი არ გაეგონოს, იმისი ზოგიერთი ნაშრომ-ნაღვაწი მაინც თავის თვალით არ ენახოს და ასე თუ ისე არ გამოეყენებინოს.

თავის ხანგრძლივს პროფესორობაში განსვენებულმა ბევრს ჩაუნერგა გულში სიყვარული სამშობლო ქვეყნისა, დედა-ენისა, ქართულის მწიგნობრობისა, საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურისა. იმისი მხნეობა და სიყვარული შრომისა ხომ უკეთესი მაგალითი იყო მის ხელში გამოვლილ ახალგაზრდათა გაწვრთნისა და კაცად გადაქცევისათვის.

დავით იესეს ძე ღირსეული განმგრძობი იყო იმ სახელოვანის ღვაწლისა, რომელიც დაიწყო მეთვრამეტე საუკუნეში მთელმა გუნდმა დიდად ნიჭიერის მამულის შვილებისამ: გვირგვინოსანმა ვახტანგ სჯულ-მდებელმა და ბატონიშვილებმა: ვახუშტიმ, თეიმურაზმა, ანტონ კათალიკოზმა და სხვ.

დავით იესეს ძე ისეთს დროს დაიბადა, ისეთს ვითარებასა და გარემოებაში აღიზარდა, ისეთს ოჯახში განატარა თავის ყმაწვილობა და ისეთს ჰაერში ტრიალობდა ჰაბუკობაში, რომ თითქმის სიყრმიდამვე დედის ძუძუსთან ერთად, შეითვისა და შეიტკბო სიყვარული თავის სამშობლოსი, თავის დედა-ენისა, მწერლობისა და ისტორიისა. არა გვგონია, რომ ამაზე მეტად სხვა რამ ჰყვარებოდა განსვენებულს თავის ხანგრძლივს სიცოცხლეში და აი სწორედ ეს ხანგრძლივი სიცოცხლე განსვენებულმა იმას შეალია, რომ დიდის თავგამოდებითა და მხნეობით შეიმუშავა დედა-ენის გრამატიკა, შეაგროვა კოლექცია ძვირფასის ძველის ხელნაწერებისა, იშრომა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურისათვის.

იმისი სალექსიკოგრაფიო ნაშრომ-ნაღვაწი ხომ, დაწყებული სიყრმიდგანვე და არ შემწყდარი მის უკანასკნელს სულის დგმამდე,—ეს ნამდვილი სალარო და საგანძე ქართულის ენისა, მისი დაუჭკნობელი გვირგვინია, მისი საუკუნო ძეგლია, მისი შარავანდედია.

დიაღ, დავით იესეს ძეს სრული ნება ჰქონდა ეთქვა ანტონ კათალიკოზისამებრ: მოვისვენე სხვათა ყოველთა ზრუნვათაგან, ხოლო ვერა მოვისვენე საქართველოს ზრუნვისაგანაო. მთელი მისი ცხოვრება და სიცოცხლე ერთი გამუდმებული, ფრიად ნაყოფიერი ჯაფა და ზრუნვა იყო საქართველოს სასახელოდ და სადიდებლად.

სახელი და დიდება იმისთანა შვილს, რომელიც მისებრვე თავდადებით, მისებრვე დაუღალაობით იშრომებს და იზრუნებს თავის ქვეყნისათვის.

მარტო ამისთანა მამულის შვილის ხსენება და კურთხევა იქმნება საუკუნო, მარად დაუვიწყარი შვილთა და შვილი-შვილთაგან. სწორედ ამისთანა შვილი იყო მამულისა აწ განსვენებული დავით იესეს ძე ჩუბინაშვილი.

საუკუნოდ იყოს სახსენებელი მისი! („ივერია“).

## დ. პ. ფურცელაძე.

(† ნეკროლოგი)

19 მაისს, თორმეტ საათზე, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ თბილისში გარდაიცვალა კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარედ ნამყოფი, დ. ს. სტატ. სოვეტნიკი დიმიტრი პ. ფურცელაძე. განსვენებულს ზედმიწევნით ჰქონდა მესწავლილი ჩვენი ქვეყანა და იმისი მრავალგვარი საჭიროებანი და ბევრი ღვაწლიც მიუძღვის ჩვენის ქვეყნის წინაშე როგორც თავისი პატიოსანის სამსახურით, ისე ლიტერატურულის შრომითაც. 1849 წელში განსვენებულმა დაამთავრა სწავლა კიევის სასულიერო აკადემიაში და დანიშნულ იქმნა მასწავლებლად თბილისის სასულიერო სასწავლებლის უმაღლეს განყოფილებაში; ორი წლის შემდეგ მან მიიღო ხარისხი კანდიდატობისა და დაინიშნა თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებლად. 1853 წელში განსვენებული თავის თხოვნით გამოირიცხა სასულიერო წოდებისაგან, მიიღო ჩინი ტიტულიარნი სოვეტნიკისა და შემდეგ წელში მიიღო მაღისტრობის ხარისხი. 1860 წელში

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსვენებული დაინიშნა ამიერ და იმიერ კავკასიის სამოქალაქო საქმეების დროებითი განყოფილების რედაქტორის თანაშემწედ და, მთავრობის მინდობილებით, დაათვალიერა ეკკლესიები და სამღვდელოება მთიულებში. ამის შემდეგ დაინიშნა წევრად კომმისიისა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა მთიულ ხალხთა აღწერა. 1864 წელში განსვენებული დაინიშნა კავკასიის ნამესტნიკის განსაკუთრებულ მოხელედ და ამავე წელში დიდმა მთავარმა ნამესტნიკმა მიანდო მასს კავკასიაში მართლ-მადიდებელი სარწმუნოების აღმადგინებელი საზოგადოების საქმეების მმართვა, ხოლო შემდეგ განსვენებული აღსრულებდა აღნიშნული საზოგადოების რჩევის მმართველის თანამდებობას. 1872 წელში ხელმწიფე იმპერატორმა დანიშნა განსვენებული ნამდვილ წევრად კავკასიაში მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოებისა. 1875 წელში განსვენებული დაინიშნა კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარედ. და ბოლოს განსვენებულმა თავის თხოვნით თავი დაანება სამსახურს.

ერთი სიტყვით განსვენებულს სამსახურში ყოველთვის და ყოველგან კარგი ალაგები ეჭირა და თავის კარგის ყოფა-ქცევით და უანგარო სამსახურით მთავრობის ყურადღებას იქცევდა. გარდა ამისა, როგორც ზემოთაც იყო ნათქვამი, ლიტერატურულს ასპარეზზედაც ბევრი აქვს განსვენებულს ნაშრომი. მის ამგვარ შრომათა შორის თვალსაჩინო და საყურადღებოა: «ქართული საეკკლესიო გუჯრები», «სათავად-აზნაურო გუჯრები», „საგლეხო გუჯრები“, „კახეთის უმთავრესი საჭიროებანი და მოთხოვნილებანი“, «ბოდბის მონასტრის აღწერა», «დღესასწაულნი საქართველოს ეკკლესიისა», «ანდერძი ანტონ კათალიკოსისა» და სხვა. ამათ გარდა განსვენებული ხშირად სწერდა ხოლმე გაზ. «კავკაზ»-ში. როგორც სიღნაღის მაზრის მემამულე განსვენებული დიდ ყურადღებას აქცევდა ადგილობით აზნაურთა ინტერესებსა და ცდილობდა კარგს გზაზე დაეყენებია სოფლის მეურნეობა და სკოლის საქმე. უკანასკნელ წამამდე განსვენებული იმყოფებოდა საიმპერატორო არქეოლოგიური კომმისიის და მოსკოვის ძველ ნაშთთა საზოგადოების წევრად—კორრესპონდენტად და დიდი სამსახურიც გაუწია მან ამ ორივე საზოგადოებას. განსვენებული 21 მაისს დაასაფლავეს ბოდბის ეკკლესიის სასაფლაოზედ.

## ვლადიკავკაზიდგან.

26 მაისს, დილით კვირას, ადგილობით საკრებულო ტაძარში ყოვლად სამღვდელო პეტრე, რომელიც გადაყვანილ იქმნა დიდი—უსტიუგის ეპისკოპოსად, ვოლოგდის გუბერნიაში, გამოეთხოვა თავის სამწყსოს. მათმა მეუფებამ გრძნობით სავსე სიტყვა უთხრა მსმენელთ. ამ სიტყვაში ყოვლად სამღვდელომ განუმარტა მსმენელთ, თუ როგორ უნდა იცხოვრონ მათ და როგორ უნდა მიუტეონ ერთი ერთმანეთს დამნაშაობა. მრავალნი დამსწრეთაგანნი სტიროდენ და ენანებოდათ თავიანთი საყვარელი მწყემსთ-მთავრის მოშორება. მათი მეუფების სახელი საუკუნოდ დარჩება თერგის სათემოში, სადაც იგი მეუფიათად მოღვაწეობდა, და სადაც თავისი მამაშვილური მოქმედებით დაიმსახურა სამწყსოს სიყვარული და პატივისცემა, თუმცა მათ მეუფებას აქ დიდხანს არ უმსახურნია (1 წელიწადი და 9 თთვე). კაი ხანია, რაც აქ დაწყებული იყო საკრებულო ტაძრის შენება კავკასიაში დახოცილ მხედართა სახსოვრად, მაგრამ ტაძრის შენება ყოვლად სამღვდელოს პეტრეს მოსვლამდე მივიწყებული იყო. შენობა მთლად ბალახით და ხავსით იყო დაფარული. მობრძანდა თუ არა ყოვლად სამღვდელო პეტრე, მან მაშინვე ყურადღება მიაქცია ტაძრის შენების საქმეს. მათი მეუფების შუამავლობით მთელს იმპერიაში მოკრებილ იქმნა ფულები ამ ტაძრის სასარგებლოდ; გარდა ამისა მთავრობისაგან მიიღო მათმა მეუფებამ ერთ დროებით შესაწევნელად 20,000 მანეთი. ყოვლად სამღვდელოს პეტრეს მეცადინეობით და ზედამხედველობით, ტაძრის კედლები აყვანილია გუმბათამდის, მაგრამ მათი მეუფების წაბრძანების შემდეგ მოთავებულ იქმნება ტაძრის შენობა თუ არა, არ ვიცით. 27 მაისს ადგილობითმა ინტელიგენციამ და ყველა დაწესებულებათა საერო მოსამსახურე პირებმა სადილი გაუკეთეს ყოვლად სამღვდელო პეტრეს ქალაქის კლუბში; 28 მაისს მათ მეუფებას ასეთივე სადილი გაუკეთეს ქალაქის წარმომადგენლებმა, ვაჭრობამ და მოქალაქეებმა. ბაღში მრავალი ხალხი იყო შეკრებილი, რომ

ერთი კიდევ დაენახა თავისი საყვარელი მწყემსთ-მთავარი. სადილებზე ბევრი გრძნობით სავსე სიტყვები უთხრეს მათ მეუფებას. 29 მაისს თითქმის მთელი ქალაქის მკვიდრი მოგროვდა, რომ რკინის გზის სადგურამდის გაჰყოლოდა ყოვლად სამღვდელოს. ბავშვები და მოწაფეები გამოეთხოვენ მათ მეუფებას ტაძარში; ტაძრიდგან დაწყებული რკინის გზის სადგურამდის გზა მ ფენილი იყო მწვანეთი და ყვავილებით. გამოთხოვების დროს მრავალნი სტიროდენ. როცა მატარებელი დაიძრა, ყოვლად სამღვდელო იდგა ვაგონის ფანჯარასთან და ჯვარს სახავდა თავის სამწყსოს, რომელიც ჩამწკრივებული იყო რკინის გზის ლიანდაგის პირად კარგა დიდ მანძილზედ.

---

## წერილი რედაქციისადმი.

**მამაო რედაქტორო!**

თქვენი პატივცემული გაზეთის «მწყემსი»-ს მე-№ 9—10-ში წავიკითხეთ სტატია თეკლათის დედათა მონასტრის დაარსების შესახებ. ამ სტატიაში არის ნათქვამი: „იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა სამეგრელოის ეპარქიის დახედვის დროს, დაათვალიერა როგორც ის ადგილი, სადაც მოღვაწეობდა სალომე თავდგირიძის ასული და მასთან სხვანი დედანი, ისე ის ადგილი, სადაც დღეს არის აგებული თეკლათის დედათა მონასტერი, შეიტყო მონაზვნების ღარიბული მდგომარეობა. მისმა მეუფებამ ურჩია თავდგირიძის ასულს იმ ადგილას გადასვლა, სადაც აგებულია დღეს თეკლათის დედათა მონასტერი. მწყემსთ-მთავარმა გაამხნევა მონაზვნები და აღუთქვა მათ შემწეობა“. სტატიის ავტორი აღარ მოგვითხრობს, თუ რა შემწეობა აღმოუჩინა ხსენებულს მონასტერს ყველასაგან პატივცემულმა ყოვლად სამღვდელო გაბრიელმა, ამიტომ მე მაურს შევავსო ეს ნაკლი.

1885 წელში ყოვლად სამღვდელო გაბრიელმა მოუწოდა გაენათის მონასტრის მღვდელ-მონაზონს ამბერკის, უბოძა მას დამოწმებული კონდაკი და გაგზავნა იგი თავის ეპარქიაში თეკლათის დედათა მონასტრის სასარგებლოდ შეწირულებათა შესაკრებლად. მ. ამბერკი დიდის მეცადინეობით შეუდგა თავის მწყემსთ-მთავრის მინდობილების აღსრულებას. იმან ჩამოიარა იმერეთის ეპარქიის ზოგიერთი საბლაღოჩინო მაზრები და სულ ცოტა ხანში შეჰკრიბა 3500 მანეთი. ეს ფულები ყოვლად სამღვდელო გაბრიელმა გაუგზავნა თეკლათის მონასტერს. გარდა ამისა, მათი მეუფება დიდ დახმარებას უწევდა ამ მონასტერს, ვიდრემდის სამეგრელოს ეპარქია მიწერილი იყო იმერეთის ეპარქიაზე.

შესანიშნავია, რომ ჩვენი ხალხი ძველიდგანვე დიდ პატივსა სცემს გაენათის მონასტერს და მასში მოღვაწე ძმათა. რაც უნდა ღარიბი გლეხი იყოს, იგი შეწირულებას არ იშურნებს, როცა მას ამ შეწირულებისათვის კარს მიადგება გაენათის მონასტრის რომელიმე ძმათაგანი. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მ. ამბერკიმ სულ ორი-სამი თთვის განმავლობაში შეჰკრიბა 3500 მანეთი თეკლათის მონასტრის სასარგებლოდ. ეს სულიერი მამა არც თავის მონასტერს აკლებს შესაფერს მოღვაწეობას. მას თავის მეცადინეობით აღუშენებია გაენათის მონასტრის ეზოში ხის სამ ოთახიანი სახლი თავის სამზარეულოთი, რომელიც დაჯდომია ათას მანეთზე მეტი; მასვე თავის საშუალებით გაუკეთებია მშვენიერი ჩარჩოები მისდამი რწმუნებული წმ. გიორგის ეკკლესიის ბიჭვინტის ღვთის-მშობლის და თამარ დედოფლისაგან შემკული ორ-კარიანი ღვთის-მშობლის ხატებისათვის, მოუპოვებია სამღვდელო შესამოსლები, ღირებულნი 100 მანეთად, და შეუმოსავს ტრაპეზი.

ყოველივე ამ მოღვაწეობისათვის სწორედ მადლობის ღირსია მ. ამბერკი და იმედი გვაქვს, რომ იგი შემდეგშიაც განაგრძობს მოღვაწეობას გაენათის მონასტრის გამშვენებისათვის.

**ერის კაცი.**

---

## «ჩვენ გავიმარჯვეთ!»

ერთხელ რუსების ჯარი ეომებოდა თათრების ჯარს. თათრის ჯარი ისე დამარცხდა, რომ მთელი ჯარიდგან მარტო ერთი კაცი გადარჩა. ეს საწყალი ცხვირპირ დამტვრეული და სისხლში მოსვრილი გარბოდა და ყველას, ვისაც გზაში შეხვდებოდა, შეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძახოდა: «ჩვენ გავიმარჯვეთო!». სწორედ ასე მოსდის ცრუ მწერლობით ყველასაგან ცნობილს გაზეთ «ნოვ. ობოზრ.»-ის თანამშრომელს ილია ხონელს. ჩვენი გაზეთის წინა ნომერში მოხსენებული იყო, რომ ქუთაისის მიხაილოვის სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წევრთა კრებაზე 21-23 მაისს 580 კენჭში 15 შავი კენჭი ამოუვიდა ბ. კალისტრატე ჩიკვაიძეს, როდესაც ზემოხსენებული გაზეთი ქვეყანას უმტკიცებდა, რომ თავად-აზნაურობას და ინტელიგენციას კ. ჩიკვაიძე ვითომც არა სურდა ბანკის მმართველად. ამაზე ბ. ილია ხონელი «ნოვ. ობოზრ.»-ის № 2560-ში ამბობს: «ჩვენ არ დავეძებთ ამ ჭორის გამტყუნებას და სხვა...» ხონელი და «ნოვ. ობოზ.» არ ერწმუნებიან ამ ამბავს და თავისებურად იძახიან: მეკენჭეები მოიყიდესო. მაგრამ 580 კაცის მოსყიდვა ისე ადვილი არ არის, როგორც ზოგიერთი გაზეთის თანამშრომლების მოსყიდვა, რომელთაც აალაპარაკებენ თავის სურვილისაებრ. მოსყიდვაზე რომ ყოფილიყო საქმე, რატომ ზოგიერთები ვერას გახდენ, თუმცა ყოველივე ღონე იხმარეს გასამარჯვებლად? ამბობენ: «მიპატიჟება, ალერსით შეყრა, თბილი სიტყვები და სხვ. ბევრი იყოვო». რომელ ადგილს ამორჩეულა ჯამაგირიანს ადგილებზე ჩვენში კაცი, რომ ასეთი ზომები არ ჩაედინოს მას, საუბედუროდ? ასეთი წესები არჩევნების დროს უფრო განათლებულს და დაწინაურებულს სახელმწიფოებში არსებობს დღეს. ვინ არ იცის, თუ რა ზომებს ხმარობენ საფრანგეთში და ამერიკის შეერთებულ შტატებში, როცა საქმე კენჭზე მივა? თუ კი ამას ვხედავთ ჩვენზე უფრო დაწინაურებულს ხალხში, რა გასაკვირველია, რომ ჩვენში ცოტა რამ უწესოება მოხდეს კენჭის ყრის დროს, მაგრამ აქედგან არავის არ ეძლევა უფლება, რომ მთელი გუბერნიის თავად-აზნაურობა კაცის მკვლელებად და ავაზაკებად ჩარიცხოს...

ი. ხონელს თავის აზრის დასამტკიცებლად, ჩვეულებრივად, ხუთი-რვა წლის წინათ გარდაცვლილი კაცის ნათქვამი სიტყვები მოჰყავს და გვთხოვს, რომ გარდაცვალებული ბ. მჭედლიძის სტატია აღძრული კითხვის შესახებ გადმოვბეჭდოთ გაზეთ «შრომიდგან» ჩვენს გაზეთში. რა სტატია იყო ამ კითხვის შესახებ დაწერილი «შრომაში»? როდის? რომელ წელში და თვეში? რომელ ნომერში? ესეები ხონელისათვის საჭირონი არ არიან!... თუმცა ამისთანა მოთხოვნილების დაკმაყოფილება ყოვლად შეუძლებელია, მაგრამ, ვთქვათ, მოხდა ისე, რომ პასუხი გაეცით ამ კითხვებზე და პირი დაუცევით ხონელს, თქვენ გგონიათ, რომ ის მერე პასუხს გაგცემსთ? არასოდეს.

ხონელს ძლიერ უყვარს მკვდრების მოწმად დასახელება, რადგან ცოცხლების მოწმობაზე იმედი არა აქვს. ამას წინეთ თავის ყოვლად ცრუ აზრის დასამტკიცებლად, მან დაასახელა მოწმად გარდაცვალებული გენერალ-ლეიტენანტი ბ. სმეკალოვი. როდესაც ჩვენ ხონელი ისეთ ადგილს მივიგდეთ, საიდგანაც დამძრევა და კრინტის ამოღება არ შეეძლო, იგი გაჩუმდა და ჩვენგან მიცემულ კითხვებზე პასუხი ვერ გაგვცა. ბოლოს კიდევ თავისებურად გაიძახოდა: «ჩვენ გავიმარჯვეთო»! აქვს თუ არა დღეს ხონელს უფლება, რომ კიდევ მკვდრები მოიყვანოს მოწმად? და ჩვენ კითხვები მოგვცეს, როდესაც მან ჩვენგან მიცემულ კითხვებზე პასუხის გება ველარ შეიძლო?...

ხონელს შეუძლია მოატყუოს თბილისის ზოგიერთი სომხები, რომელთა ინტერესებს დიდი ხანია ემსახურება იგი თავის ორგანით. რაიცა შეეხება დასავლეთის საქართველოს საზოგადოებას და ინტელიგენციას, ამათ ისე ადვილად ვერ მოატყუებს ხონელი, რადგან ყველამ კარგად იცის, თუ ვინ ბრძანდება იგი და მისი კამპანია და რამდენათ შესტკივათ მათ გული ჩვენი ხალხისა და ჩვენი ქვეყნისათვის...

## მუშის სიხარული.

დილით, მაისის თხუთმეტსა
წვიმა მოვიდა ქუქუნა,
სიმინდს ყური აუცქვიტა,
მიწა კი დაბუქუნა.

მიდვრად გამოდის სესია,
თავშიშველი და პირღია,
ცას შეჰყურებს სიხარულით
და თან პირი დაუღია.

— შენი გამჩენის ჭირიმე,
თითო წვეთი ოქროდ ღირსა,
ღმერთო, გმადლობ, ჩვენს ყანებსა
ამ დროს წვიმა რომ ეღირსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოხით მუშა ვარ, ღარიბი,
ფულითაც მმართებს ვალია,
მაცხოვარო! გარდამავლე
მოწყალე შენი თვალია.

—

მრავალ გზის გამიგონია:
„ოფლითა სჭამდე პურსაო“,
დამსაჯე, ამ შენს ბრძანებას
თუ არ უგდებდე ყურსაო.

—

მაგრამ დიდის ოფლის ღვრითა,
საზრდო მომდის ერთობ მცირე,
ცოლშვილი ვერ ვასაზრდოვე,
ხატს სანთელი ვერ შევსწირე.

—

გადმოხედე ჩემს ნაოფლარს,
დახე, დაათვალიერე,
შემაწიე შენი მადლი,
მცირე გამიხვავრიელე.

—

წვიმის გამჩენის ჭირიმე,
შრომა არ გამირთნია,
მონათლა მთელი ქვეყანა,
გარდაავლო მირონია.

—

დაუშვი, წვიმავ, გეთაყვა,
დასველდეს მთა და ბარია,
დავსველდე მეცა, აქ ვიდგე,
მინემ გამოვა დარია.

—

ხვალ და ზეგ უნდა მიყურო,
რომ ვტრიალებდე თოხითა,
ხალისიანათ ვმღეროდე
მუშურსა ხმითა ბოხითა.

—

მიწა არა მაქვს საყოფი,
მაწუხებს ცოტად მარტო ის,
ორს დავკრავ: ერთი ჩემია,
მეორე მიწის პატრონის!

—

მაგრამ, მაინც არა უშავს,
რა კი მწყალობს მადლით ზეცა,
მაცხოვარი შემეწევა,
საზრდოს მომცემს ვით სხვას მეცა.

რაფიელ საჯაოხელი.

## წესდებანი წერა-კითხვის სკოლებისა.

(უმაღლესად დამტკიცებული 4 მაისს 1891 წ.)

§ 1. წერა-კითხვის სკოლები არიან სასწავლებლები დასაწყისი სწავლისა, რომელნიც იხსნებიან ქალაქის და სოფლის სამრევლოებში და აგრეთვე მონასტრებთან.

§ 2. წერა-კითხვის ყველა სკოლები, როგორც აქამომდე არსებულნი, ისე რომელნიც ახლად გაიხსნებიან, იმყოფებიან სასულიერო მთავრობის განსაკუთრებულს გამგეობასა და ზედამხედველობის ქვეშ. ზრუნვა წერა-კითხვის სკოლების შესახებ სამრევლოებში და მათი მმართვა ეკუთვნის ადგილობით მღვდლებს, ანუ იმ პირთ, რომელნიც დანიშნულ იქმნებიან ეპარქიის მწყემსთ-მთავრისაგან. პასუხის გება სკოლის მართლმადიდებელ ეკკლესიური მიმართულების შესახებ ყოველს შემთხვევაში მოვალეობად ედგინება მრევლის მღვდელს.

§ 3. წერა-კითხვის სკოლების გახსნა შეუძლიათ ეკკლესიის კრებულის წევრთ, მონასტრებს, საქველმოქმედო დაწესებულებათ, სამრევლოის ერთს ანუ რამდენიმე პირს, სოფლის და ქალაქის საზოგადოებათ და ერობას.

§ 4. ადგილობითი სამრევლონი, რომელთაც ჰსურთ თავის ხარჯით წერა-კითხვის სკოლის გახსნა, უნდა მიიქცნენ რჩევისათვის მრევლის მღვდელთან, რომლის მოვალეობას შეადგენს გასახსნელი სკოლისათვის კეთილ საიმედო მასწავლებლების და მზრუნველის შოვნა და ზრუნვა, რომ სკოლას მოეპოვოს ყველა საჭირო სახელმძღვანელოები და სასწავლო წიგნები. ყოველივე გაუგებლობას, რომელიც შესაძლებელია მოხდეს მღვდელსა და სკოლის დამაარსებელთა შორის, განმარტავს ეპარქიალური სკოლების რჩევის მაზრის განყოფილება, ადგილობითი თვალ-ყურის მგდებელის მოხსენებით.

§ 5. პირნი და დაწესებულებანი, რომელნიც არ ეკუთვნიან სამრევლოს და რომელთაც ჰსურთ წერა-კითხვის ერთისა, ანუ რამდენიმე სკოლის გახსნა სამრევლოში, უნდა მიიქცნენ თავის წინადადებით ანუ ეპარქიალური სკოლების რჩევის სამაზრო განყოფილებაში, ანუ ადგილობით მღვდელთან, და ამასთან უნდა აცნობონ, თუ სად და რა საშუალებით სურსთ მათ სკოლის გახსნა.

§ 6. წერა-კითხვის სკოლებში ასწავლიან მღვდლები, მთავარ-დიაკვნები და კრებულის სხვა წევრნი, აგრეთვე საერო წოდების მასწავლებლები, რომელნიც არჩეულ უნდა იქმნენ მართლ-მადიდებელი ადსარებისაგან, კეთილი ცხოვრებისა და რომელთაც იციან საგნები დასაწყისი სწავლებისა. სკოლისათვის მასწავლებლის არჩევა ეკუთვნისთ მათ დამაარსებელთ, მრევლის მღვდელთან შეთანხმებით.

§ 7. პირთ, რომელთაც აქვსთ მოწმობა მასწავლებლის წოდებისა, ნება ეძლევათ წერა-კითხვის სკოლებში მასწავლებლობისა, როცა დამოწმებულ იქნება მათი კარგი ზნე და ურთგულება ეპარქიალური სკოლების რჩევის სამაზრო განყოფილებისაგან.

§ 8. თუმცა მღვდლისაგან არჩეულს ანუ სკოლის დამაარსებელთაგან დასახელებულს პირს არა აქვს მოწმობა დასაწყისი სკოლის მასწავლებლის წოდებისა, ანუ სამრევლო სკოლებისა, მაშინ მღვდელმა თვითონ უნდა შეიტყოს, იცის თუ არა ამ პირმა ლოცვები, საღმრთო ისტორია, შემოკლებითი კატეხიზმო და სხვა საგნები, რომლებსაც სწავლობენ წერა-კითხვის სკოლებში, და თუ მღვდლისაგან არჩეულმა პირმა, ანუ სკოლის დამაარსებელთაგან ნაჩვენებმა პირმა გამოიჩინა საკმაო ცოდნა საღმრთო სჯულში და წერა-კითხვის სკოლების სხვა საგნებში და მასთან ეს პირი ზნეობით საიმედოა, მაშინ მრევლის მღვდელი აძლევს ასეთ პირს წერილობით ნებართვას მასწავლებლობის თანამდებობის დაჭერის შესახებ, და ამის შესახებ აცნობებს ეპარქიალური სკოლების რჩევის სამაზრო განყოფილებას. პირნი, რომელთაც ნება ეძლევათ მასწავლებლობისა წერა-კითხვის სკოლებში, ამ წესდებათა ძალით, არ სარგებლობენ იმ უფლებით, რომელიც მოხსენებულია სამხედრო ბეგრის წესდების 63 მუხლში.

§ 9. წერა-კითხვის სკოლების მასწავლებლები, რომელთაც აქვსთ მოწმობა დასაწყისი სკოლის მასწავლებლობისა, ანუ სამრევლო სკოლებისა, სარგებლობენ შველა იმ უფლებით, რაიცა მიკუთვნებული აქვს ამ წესდებას და თავისუფალი არიან სამხედრო ბეგრისაგან ამ ბეგრის წესდების 63 მუხლის ძალით, იმ პირობით კი, რომ ხუთი წლის განმავლობაში, დღიდგან მათი ზურგის ჯარში ჩარიცხვისა, სამრევლო სკოლების რჩევის სამაზრო განყოფილებათ უნდა წარადგინონ ამისთანა მასწავლებლების შესახებ ქვემდებარე სამხედრო ბეგრის დაწესებულებაში ცნობები მასზე, რომ აღნიშნულთ მასწავლებელთ წერა-კითხვის სკოლებისას თავი არ დაუნებებიათ მათი წოდების შესაფერ მზრუნველობისათვის.

§ 10. მრევლის მღვდელნი შუამავლობენ მაზრის განყოფილებათა წინაშე, რომ წერა-კითხვის სკოლების მზრუნველებად დამტკიცებულ იქმნენ ის პირნი, რომელთაც დაარსეს ესეთი სკოლები, ანუ ამ სკოლებს უწყენენ შემწეობას თავისის ნივთიერის საშუალებით, ხოლო საზოგადოებანი და დაწესებულებანი, რომელთაც გახსნეს წერა-კითხვის სკოლები, თვითონ ირჩევენ თავის შორის სკოლის მზრუნველს. წერა-კითხვის სკოლების მზრუნველები მტკიცდებიან ამ თანამდებობაზედ ეპარქიის მღვდელ-მთავრისაგან, შემდეგ ეპარქიალური სკოლების რჩევის სამაზრო გან·ფილებათა მოხსენებისა.

§ 11. წერა-კითხვის სკო ის მზრუნველნი მრევლის მღვდლებთან ერთად ზრ ვენ: ა) ააგონ სკოლისათვის მოხერხებული შენობა და მოიპოვონ საკლასო კუთვნილებანი; ბ) თავის დროზე, ადგილობით პირობათა მიხედვით, სწავლის დაწყებას და რომ თავის დროზე დადიოდნენ მოსწავლენი სკოლებში; გ) რომ მასწავლებელს თავის დროზე ეძლეოდეს დაწესებული ჯამაგირი და დ) რომ მოწაფეები რაც შეიძლება გამოუტოვებლად დადიოდნენ ტაძრებში ამ მიზნით ეკკლესიებიდგან დაშორებულს სოფლებში შეიძლება დაწესებულ იქმნეს კეთილ მნებელობითი მორთულობა რიგრიგობითი ცხენებ შებმულ ურმებისა.

§ 12. წერა-კითხვის სკოლების მზრუნველები სარგებლობენ უპირატესობით, რომელიც მიკუთვნებული აქვსთ მოსამსახურე პირთ სათემო და სასოფლო სამართველოებში (პ. პ. 1 და 2 მუხ. 124 წესდებულებისა გლეხთა შესახებ 19 თებერვლიდამ 1891 წლისა).

§ 13. წერა-კითხვის სკოლების მზრუნველები, რომელთაც აღმოუჩინეს აღნიშნულს სკოლებს განსაკუთრებული ნივთიერი და ზნეობითი დახმარება ამ სკოლების წარსამატებლად, როცა ამას პირდაპირ დაამოწმებენ სამაზრო განყოფილების წევრნი, რომელნიც ხედავენ სკოლებს, და ამ განყოფილებათა ჟურნალური დადგენილობათა ძალით, შეიძლება წარდგენილ იქმნენ ეპარქიის მღვდელ-მთავრებისაგან საპატიო საჩუქრებზე.

§ 14. წერა-კითხვის სკოლების კურსის საგნებს შეადგენენ: საღმრთო სჯული (მოკლე საღმრთო ისტორია ძველისა და ახალი აღთქმისა და მოკლე კატეხიზმო), საეკკლესიო გალობა, საეკკლესიო წიგნებისა და რუსულის კითხვა, წერა და დასაწყისი ანგარიში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 15. წერა-კითხვის სკოლებში სწავლება სწარმოებს იმ სახელმძღვანელოებით, სასწავლო წიგნებით და საზოგადოდ იმ წიგნებით, რომელნიც ნაჩვენებია უწმიდესი სინოდისა და უწმიდეს სინოდთან არსებული სამოსწავლო რჩევისაგან. აღნიშნულ სკოლებთან, საშუალების დაგვარად, არსდებიან მასწავლებელთა და მოსწავლეთათვის წიგნთ-საცავები იმ წიგნებისაგან, რომელნიც ნება დართული და მიღებულია უწმ. სინოდთან არსებულ სამოსწავლო რჩევისაგან.

§ 16. წერა-კითხვის ყოველს სკოლაში უნდა იყოს საკლასო წიგნი, რომელშიაც მასწავლებელი ნიშნავს მოსწავლეთა სახელსა და გვარს, მასში ნიშნავს მოწაფეთაგან გაშვებულს გაკვეთილებს, მიზეზთა ჩვენებით გაშვებულ გაკვეთილთა შესახებ, და ამ წიგნშივე ნიშნავს მიცემული გაკვეთილების შინაარსს. ამ წიგნში დრო და დრო სწერენ თავის შენიშვნებს მოსწავლეთა სწავლის შესახებ და საზოგადოდ სკოლაში სწავლის საქმის წარმოებაზე მღვდელი, მზრუნველი და თვალყურის მდებელი.

§ 17. წერა-კითხვის სკოლებში სასწავლო დროის განსაზღვრა წლის განმავლობაში და კვირეული გაკვეთილების დაწყობა ამ სკოლებისათვის შეადგენს ეპარქიალური სკოლების რჩევების სამაზრო განყოფილებათა მოვალეობას.

§ 18. სასწავლო წლის გამთავებს, მღვდელი სკოლის მასწავლებელთან და მზრუნველთან ერთად და, რაც შეიძლება, სოფლის მოხელეების და მოსწავლეთა მშობლების დასწრებით, ცდის სკოლის ყველა მოსწავლეებს. წერა-კითხვის სკოლების ის მოწაფენი, ორივე სქესისა, რომელნიც, რიგიანად დაიჭერენ ეგზამენს, იღებენ მოწმობას, რომელშიაც ინიშნება, რომ მათ შესწავლილი აქვსთ გავლილი კურსი და ამ მოწმობაზე ხელი უნდა მოაწეროს მრევლის მღვდელმა, მზრუნველმა და მასწავლებელმა და ზედ დასმული უნდა იქმნეს ეკლესიის ბეჭედი. სამაზრო განყოფილებანი თავის დროზე უგზავნიან მრევლის მღვდლებს ამ მოწმობათა ბლანკებს. ეს მოწმობანი მათ მიმღებ მოწაფეებს არავითარიმე უფლებას არ ანიჭებენ სამხედრო ბეგრის შესახებ. სამხედრო ბეგრის უპირატესობის მიღებისათვის წერა-კითხვის სკოლების მოსწავლეებმა ეგზამენი უნდა დაიჭირონ სასულიერო უწყების გამოსაცდელ კომისიებში თანასწორად საეკლესიო-სამრევლო სკოლების მოწაფეებთან (კრება კანონთა და განკარ. მთავრობისა 1889 წლისა № 31, მუხ. 272).

§ 19. რომ წერა-კითხვის სკოლებში წარმატებით წავიდეს სწავლა-აღზრდის საქმე, მრევლის მღვდელთ მოვალეობად ედგინებათ, რომ, რაც შეიძლება, ხშირად დახედონ ამ სკოლებს.

§ 20. წერა-კითხვის სკოლის დახედვის დროს მღვდელი ცდის მოსწავლეებს იმაში, რაც გაუვლიათ, ყურს ადევნებს მასწავლებლის სწავლებას და ესაუბრება მოწაფეებს საღმრთო სჯულის საგნების შესახებ. მღვდლის განსაკუთრებითი ყურადღება მიქცეული უნდა იქნეს სკოლის საეკლესიო აღზრდის მხარეზე, და სახელდობ: ლოცვების კეთილ მოწიწებით კითხვას სკოლაში მოწაფეების კვირა-უქმე დღეებში სიარულს ეკლესიაში, მოწაფეების სასწავლებლის გარეშე წიგნების და სასულიერო შინაარსის წიგნაკების კითხვას.

§ 21. სასწავლო წლის დამდეგს და გამთავეს გადახდილ უნდა იქმნეს სამადლობელი პარაკლისი, რომელზედაც თავის დროზე მოწვეულ უნდა იქმნენ სოფლის მოხელენი და მოწაფეთა მშობლები.

§ 22. კვირა-უქმე დღეებში წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელს უფლება ეძლევა გამართოს სალამოთი კითხვები სკოლაში მოსწავლეთა და მათ მშობელთათვის. კითხვის დროს უნდა იგალობონ ლოცვები და საეკლესიო საგალობელნი და ყოველივე ეს უნდა სწარმოებდეს მრევლის მღვდლის ჩვენებით და ხელმძღვანელობით.

§ 23. ის მოვალეობანი, რომელიც ამა წესდებათა ძალით ედგინება სამრევლო სკოლების ეპარქიალურ რჩევის სამაზრო განყოფილებათ წერა-კითხვის სკოლების მმართვის შესახებ იმ მაზრებში, სადაც ასეთი განყოფილებანი ჯერ კიდევ არ დაარსებულან, დროებით უნდა მიენდოს, ამ განყოფილებათა გახსნამდე, ეპარქიალურ სასწავლო რჩევებს.

§ 24. უმაღლესი მართვა წერა-კითხვის ყველა სკოლებისა და განკარგულება ამ სკოლების შესანახავ ხარჯთა მიცემის შესახებ ეკუთვნის უწმიდეს სინოდს, რომელსაც, ამ დარიგებათა განსამარტებლად, შეუძლია გამოსცეს განსაკუთრებული დადგენილებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გუჯრები

(გაგრძელება *).

ყოვლად სამღვდელო ჯუმათელ მიტროპოლიტი მაქსიმე ვამტკიცებ წიგნსა ამას და შევაჩვენებ ვითარცა ეშმაკსა ამა წიგნისა გამტეხსა. 1)

(ხელი)

## იმერეთი.

1812 წ. თქვენ, ბატონს ჩემს ყოვლად სამღვდელო მთავარ ეპისკოპოსს ანტონის, ეს წიგნი მოგართვი მე თქვენმა მონამ გოგია ქუთათელაძემ. ასე ვითარისთვის, რომ შენი კაცის დავით ქუთათელაძის შვილი ვიყავ ნაბიჭვარი, და სამართლით თქვენი ვიყავი. მაგრამ წულუკიძეს ვახლდი და შემდგომათ მამა ჩემი და ბიძა ჩემი მიქელა უბედოთ გადავიდა და მერმეთ გევედრე, და ჩემი თავი თქვენ და თქვენს ეკლესიას მოვეინდევი და კვალად გევედრე, მამი ჩემისა და ბიძი ჩემისა სულობის მოგებას და თქვენ წყალობა მიყავით და მიბოძეთ. და აწ მე ასე წიგნი მოგართვი რომ დღეის იქით ყოველივე, რათა ჩემი შეძლებით თქვენი და თქვენი ეკლესიის ერთგული და მოსამსახურე ვქმნე და არც თქვენ მეტი ბატონი მინდოდეს და რაც ზევარა მამაჩემს და ბიძაჩემს ემართა, და დავთარშიაც სწერია, არც ის დავიცა და მხიარულებით მოგართვეთ. და თუ ამაში მატყუარად გამოვჩნდე, როგორც ბატონის წინააღმდეგს ეკადრებოდეს, ისე შემრისხე და ჩემს ყოვლისაგან გამაყენე. არის ამისი მოწამე და გამრიგე დავითა წულუკიძის მოურავი, ბეჟანა წერეთელი, და თვით დავითის დოსტურით, და გამრიგზავნით. გარიგდა ეს ჩემი საქმე, და მე მღვდელი მანაზონს ლორთქიფანიძეს დამიწერია. ქორონიკონს ჩუპ (1812) ნოემბრის Თ (9)

## ხახულისა.

1739 წ. ქ. ნებითა ღვთისათა და შეწევნითა წმიდისა ღვთისმშობლისათა ძლიერებითა, პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯვარისათა, წმიდათა ზეცისა ძალთა მთავარ ანგელოზთა და ყოველთა ზეცისა ძალთათ წმიდისა წინასწარმეტყველისა და წინა მორბედისა ნათლის მცემლისა იოანესითა და იოანე ქალწულ მახარებელისათა და წმიდათა წინასწარმეტყველთა, მოციქულთა, მღვდელთ მოძღვართა, მოწამეთა მამათა და ყოველთა ღვთისა სათნო ყოფილთა წმიდათათა ამათ ყოველთა წმიდათა ზეცასა და ქვეყნისათა ხვარცაელთა უხორცოთათა შუამდგომელობითა ჩვენ ცვა ფარვით ღვთისათა მონდობილმან იესიან: დავითიან: სოლომონიან ბაგრატიონმან მეფეთ მეფემან ღვთისა მიერ ცხებულმან ალექსანდრემ გკადრე და მოგახსენე მცირე ესე შემოსაწირი შენ სასოსა სიჯადულს მცველსა და მფარველსა, განმაძლიერებელსა, აღმამაღლებელსა და მტკიცედ დამამყარებელსა ჩემსა ხახულისა და გელათისა წმიდასა ღვთის მშობელსა უხრომბით გამონაწირი ქეჩინაძე და მეფის შვილების მამული ბევრს არგომშვილებს დაეპყრათ და აწ ეს ქეჩინაძენი ჩვენ შემოგვეხვეწნენ აღექით და მაგიერი ჩვენ მასდა სანაცვლოდ მივეცით და ეს ქეჩინაძენის მამულნი ისევ წმიდა ხახულისა ღვთის მშობელს მოუძღვანეთ და შევწირეთ და მათსავე მემკვიდრე მეპატრონეთ მოვეცით ქეჩინაძე და მეტის შვილებსა ბევრსა ხუცესს თუ ერისგანსა შეწირე შენ ყოვლად პატიოსან ხახულისა ღვთის მშობელო და ნაცვალ გვაშე აქაცა და მერმესაცა მას საუკუნესა ამინ გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ხახულისა ღვთის მშობლის სამსახურში და ჩვენს ერთგულებაში არ მოგეშალოს არცა ჩვენგან და არცა შემდგომთა ჩვენთა მეფეთა და მეპატრონეთაგან დაიწერა ჩვენისა გარდასულისა ᲐᲛ ცხრამეტსა ივნისის ოთხსა მას აქა ათას შვიდას ოცდა ცხრამეტსა.

ჩაწერილი არის კომიტეტსა შინა საეკლესიოისა ჩუჟ წელსა № 137 *).

შენიშვნა. თუ ეს ალექსანდრე მეხუთეა, რომელიც 1730 წ. გარდაიცვალა ჩვენი ისტორიის ცნობით, მაშინ აქ დასმული თარიღი (1739) შეცდომაა. თუ ალექსანდრე სოლომონ I-მა არის მოხსენებული, ეს შეუძლებელია, რადგან ეს უკანასკნელი ალექსანდრე დაიბადა 1760 წ. ოცდაცხრამეტის მაგივრად, იქნება ოცდაცხრა უნდა იკითხებოდეს, მაშინ ალექსანდრე მე-V იქნება.

1) ამგვარი მიტროპოლიტების დამტკიცება უჩვენებს კითხვის დიდს მნიშვნელობას. ეს გუჯარი დ. ფურცელაძეს არ აქვს დაბეჭდილი.

2) ეს მთავარ ეპისკოპოზი ცნობილია ისტორიაში. ნახე ჩემი შენიშვნა ხონის გუჯრისა. იგი იყო ქუთათელად და შემდეგ დაინიშნა კათოლიკოზად (Н. д. е. д. II, 2. 88).

*) იხ. «მწყემსი» № 9—10 1891 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გ ა ნ ე თ ი.

1797 წ. ქ. შენ დიდებულოდედოფალო და ცათა მობაძაოგაენათისა და ხ ხულისა ღვთის მშობელო, ჩვენ ცვაფარევათა შენთა მინდობილმან და მსასოებელმა. სადიდებელად იმერეთა მეფემან მეფეთამან ძემან არჩილისამან მეორემან სოლომან დავითიანმა ესე მცირე და მწვლილებრივ შეწირულობა წიგნი მოგართვით. ესრეთ და ესე. ვითარად რომ. პირველათ. თქვენს. შეწირულს. ადგილზედ. მანდივარს. და თუა მხეიძე დასახლებულიყო და მას მერმეთ კურთხეული. ბიძა ჩემი კათოლიკოზი იოსებ დასდევებოდა. და იმ. მხეიძეს. იმ ადგილ მამულზედა. კათოლიკოზის იოსებისთვის ხატზედ შამოეფიცა. რომ დენიმე კაცით და იმ ფიცს ეწია ამოწყვეტილიყვნენ და რომელიმე კიდევ მორჩენილიყვნენ. მოვიდა წინამძღვარი მხეიძე მოსე. შამოგვეხვეწა. და. რომელსაც. ეს წერილი აცხადებს. ყოველივე. ისრე მორე მოგვახსენა. და გამოგვიტყდა გავსინჯეთ. იმ. ადგილზედ. ველარ ავყარეთ. თავისი გლეხის ბეგარათ. ხახულისა ღვთის მშობლისათვის ძინაქონათ. და ვერც. ის. მოვშალეთ. და ახლა. იმ. მხეიძიანთ. შამოგვიწირავს. მღვდელი. მხეიძე. მხეიძე იოანე. და მისი. ბიძაშვილი თავისი ცოლშვილით თავისი სახლკარით. ადგილმამულით თავისი. ყმით და რასიც მქონებელი. იყონ. უკლისათ, სრულებით თქვენთვის. შამოგვიწირავს. თქვენ და. თქვენს ეკლესიაზედ მდგომს. გაენათელს. გმსახურებდენ. მის. გლეხს. რომელიც თქვენი (შეწარ) შესაწირი ემართოს. თქვენ. მოგართმევდეს. და სამსახურით. თავის ბატონს. მხეიძეს. ემსახურებოდეს შეიწირე. და ნაცვლად გვაგე მადლი და მეოხ მექმენ. აქა. და მას მერმესა აწდამი უკვე. ეს. მხეიძე. ყოველს. აღდგომას. და ამაღლებას. ჩვენთვის. აწირვინებდეს. ჩვენთვის განსაძლიერებელად წარსამართებელად. და სული საოხად. და უკეთუ ვინმემძლავრებით. რისხვითა. შენით. და ამოუწყვიტეს საყვარელნი და სასურველნი. და მას. რისხვა. ღვთისა მიერი და სახლსა მისსა და შვილთა მისთა და იყავნ წყეულ. აქა. და მის მერმესა. ხოლო დამამტკიცებელნი და დამბეჭდელნი ამიინი. კურთხეული იყვნენ. სულითა ღვთისათა. ამინ. ბრძანებისა. ამის. ჩვენისა გამრიგედ. და მწამდე წულუკიძე. გიორგი. ჭიჭინაძე. ნიკოლაოზ. აღიწერ. ხელი ა. მეფის. კარის მღვდლის. გრიგოლაშვილის იესესითა ქრისტეს აქეთ: ჩღჟზ მარტს გ

შენიშ. დ. ფურცელაძეს არ აქვს დაბეჭდილი ეს გუჯარი.

## გ ე ლ ა თ ი ს.

1776 წ. ქ. ჩემი [illegible] დღე და ღამე ეს იყო რომ რათგან გელათს [illegible]ვნათ ვეკურთხე მღვდლად ვეკურთხე და მღვდელმთავართ რაც რამე ყოველივე გელათისთვინ მინდოდა და კიდეც შემიწირავს რომ რაც გალავანი შემოვავლე ის დახურვა მინდოდა. ალისუბანი თხილთაწყარო ღიბრაძეები დავიხსენი დიაღ დიდი ხნის დაკარგული და შემიწირავს ჭუმბურიძენი ერთობით ყველა დიდის ცდით და თეთრით მიყიდია ყველა მუხურას კიდევ ოკრიბას გვენეტაძენი. რაჭას კვაშხითი და საწულიკიძო დიაღ მრავალით ქამიდამ დაკარგული ამოვიყვანე რომელიც ჩვენს დავთარში ეწერა ჯვარისას და კვაშხიეთის გლეხები და მამულ ადგილი ყველა ამოვიღე ჩუნეში და უძლური ორივე საფიცრით გაცემული იყო და ამოვიყვანე სრულებით ჩემი სარჯელით. რონს სულაქველიძენი სამი გლეხი დაკარგული იყო და ამოვიყვანე. კორიშს გლეხები ამოვიყვანე. ამას გარდა სადაც იყო დაბნეული ან გლეხი ან მამულ ადგილი იყო და შევიტყვე წიგნით ყველა ამოვიღე ზოგი თეთრით და ზოგი ცდით და სარჯლით. გალმა საერისთოში ორი გლეხი ჯანელიძეები ამოვიყვანე: ქუტირს საკანდელაკო კაცები დაკარგული იყო და ამოვიყვანე და მის პატრონს მივეცი და საგელათოთ გავხადე ისევე:. ამას გარდა ვაჭრები ორი ურია მოშა და მისი ძმები მოძღვარი კიდევ ქუთაისიდამ გამოვიყვანე მათი ცოლშვილით და გელათს შევწირე დავითა და მოშიკა მეფე სოლომანმა შესწირა. ისრაელა და ამისი ცოლშვილი იაშვილმა მთავარ ეპისკოპოსმა მაქსიმემ შესწირა გელათს. ბაბალია მისი ცოლშვილით—აბრამია და მისი ძმა მათის ცოლშვილით. ყეზერა და მისი ცოლშვილი. ხანანია და მისი ძმა მათის ცოლშვილით. ცოცია და ორი მისი ძმა მათის ცოლშვილით. შამოელა და მისი შვილი ახალციხელი კაცი ცოლშვილით. წითელი დავითია ურია მის ძმა და მათი ცოლი: ესენი ყველა სიყმაწვილიდამ დავიხსენი და ამოვიყვანე და გელათს შევსწირე. სიძე პატარა ურია ობოლი კიდევ გელათს შევწირე. და მისი ძმა და მათი ცოლშვილი. მეორე შალომია (ძე) და დიაკონი მათის ცოლშვილით საგელათო ამოვიყვანე და გელათს შევწირე. ქუთაისადამ გამოყვანილი დავითელა სომეხი ელისბარაშვილი და მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოლშვილი. ორი გლეხი თეოდორეძე. ჯინჭველაშვილები ორი ძმა მათის ცოლშვილით. თანდარეიშვილა გწორგელა, დავითელა პაპაშვილი მესხისა და ავალიანისაგან დავიხსენი. მიქელიძა ლომიძის სახლისშვილი. თეოდორე კალატოზი. წვერიანაშვილი ორი ძმა ნიშნიძენი. ქაიხოსრო მამედისშვილი. კანკაძე და თუნიკა. კვირია (კვდია) კდიაშვილი ნაყიდი ნინიკასგან დავიხსენი. დავითელა ქვარიანი. [1]) მღებარი გორდეზაშვილი და ბერიკელა და პეტრია გორდეზას ძმა სიმონ გულაშვილი ჩხარის ნამოსახლი—და კიდევ სიმონ გულაშვილი შეიაცს შვილები ესენი საყდრის იყვნეს და ახალციხიდამ მოვიყვანე. გიორგი ინაკაძე და მისი ცოლშვილი ოთხმოც ფლურათ ვიყიდე. მეფე ალექსანდრეს შეწირული გიორგი ელიაშვილი იყო და მერმე კიდევ გაუჭირდა და თეთრით მე დავიხსენი. მისი ძმისწულები შეწირული იყო და გაუჭირდა და კიდევ მე დავიხსენი თეთრით. ვარდანეიშვილი ოტიელა. ჯოხიები ორი მოსახლე ხუციასი და მისი ძმა ორივე ქარათხაძემა თარაძისშვილისაგან ვიყიდე და გელათს შევწირე აქიმიშვილები ორი ას მარჩილათ ვიყიდე: გიორგელა მურთადის ძმა ოცდახუთ მარჩილათ ვიყიდე. გიორგი ბერძნისშვილები ოთხას სამოც მარჩილათ ვიყიდე ამირან მესხისაგან ესენი ყველა გელათისთვის შემიწირავს და ვინც ეს ჩემი ნაღვაწი და მოყვანილი გელის ეკლესიას გამოსწიროს შეჩვენებული (იყვეს) იყოს ამინ:.

დაიწირა ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ათას შვიდას სამოცდა თექვსმეტს და თვესა მაისს ცხრას:.

---

## ნიკორწმინდა.

მე-XIX საუკ. ლ: კაცო: ღვთისაო: და სარწმუნო განმგეო და მწეო: ქრისტეს საიდუმლოთაო: და საუნჯეო: მადლთა მათ. სულისა წმინდისათაო: და მნათობო ყოვლისა: სოფლისო: ქებულო: მღვდელთ: მთავართა: შორის. მქადაგებელო ყოვლად წმიდისა: სამებისაო: რომლისა: სახელები. სასწაულთა. ურიცხვთა განითქვა: ყოველთა ცის კიდეთა: დიდებულო: მღვდელთ. მთავარო წმიდაო ნიკოლოზ ჩვენ ცვა ფარვათა. შენთა. მინდობილმან და მსასოებელმან: უღირსმან: და უალმატებულესმან: ყოვლისა. სამერჯთოსა: დედუფალი: დედუფალმან: დადიანის ასულმან: მარიამ: ვინებე: და გულს: მოდგინე: მახურება: წმინდისა ტაძრისა: შენისა: სახელსა შენსა ზედა აღშენებულისა: ნიკოლაოს: წმინდა: და შემოგწირე ჩვენთვის სათავისათოთ. დადებული წულუკიძის: ძე კაცია თავისის: საცხოვრებელით: [1]) ანუ: რომელიცა: ჩვენსა: უწინარეს: მეფეთა: და დედოფალთაგან წყალობად: უბოძებია: და ანუ ჩვენ მიერ: და ანუ თავისი. შრომითა ულვწია და უყიდნია: ადგილი და მამული და ყოველივე მონაგები, მისი სასახლე: საფლავ სამარხი: ტყე: და მინდორი: თავისის წყლით. და საწისქვილოთი: საძებრითი: და უძებრით. სამართლიანის საზღვრით: და ყმანიცა მისნი: სხვაკას: კვირიაკეს. შვილი. რამაზიკა მისი. ძმა გიგილა: და მისი ბიძაშვილი კვირია. მირანა და სვიმონა ბედელაძე. ოთიკა: მისი ძმა დავითიკა: და მეჭყვას შვილები: გიგუნა და ნასხუნა: ხიმში: შოშიკას შვილი კაცნა გოგსიაშვილი დათიკას შვილები თავისის. ცოლშვილით სახლკარით: ადგილ მამულით, ტყით. ველით სათიბით: საყანით: საფლავ სამარხით: საწისქვილოთი: და ყოვლით მათით. საცხოვრებელით. რისაც მქონებელნი არიან საძებრით და უძებრით სამართლიანის საზღვრით მათთანა ვენახი უფლისაშვილის სეული და სხვაცა ყოველივე: რომელიცა ხელითა თვისითა მოუგია ვითარცა. დავთარიცა მისი აცხადებს: ესრეთ და ესე ვითარად რომელ: დიდთა ჭირთა. და განსაცდელთა. შინა აღთქმა. აღვთქვა შენთვის. წმიდაო ღვთისაო: ნიკოლოზ და ვითარცა შემძლებელ: იყავ ეარეთ გეხსნა კაცი იგი განსაცდელისა მისგან: და ვინათგან: უშვილო იყო და ინება ძისა და: საცხოვრებელისა თვისისა და თავისიცა შეწირვა ეკლესისა შენისა საქეთ. მყრობელი ყოვლად. სამღვდელო: ნიკოლოზ წმიდელ: არხიეპისკოპოსი: სოფრონიოს: და ვისმინეთ ვედრება მისი და ჩვენცა ჭეშმარიტითა დავთრითა: დაუმტკიცეთ წმიდასა ეკლესიასა შენსა: რომელნიცა. აღწერილ არიან: წიგნსა ამას შეიწირე: და მოიკნინმწვლილე: წმიდაო მღვდელთ მთავარო

---

**შენიშვნა.** ყმების გასყიდვა გამოსყიდვა კარგად იხატება ამ გუჯარში, რომელიც ეკუთვნის დიდი სოლომონ მეფის დროს.

[1]) ამ საუკუნის დამდეგში კიდევ სწირავდენ ეკლესიას ყმებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ მცირე ძლევნი: ვითარცა შეიწირა შენმიერ ქადაგებულმან მაცხოვარმან ორნი იგი მწულილნი და ნაცვლად გვაგე მადლი მფარველობისა შენისა მრჩომთაშას: ცხოვრებათა ჩვენთა ხოლო: უკეთუ ვინმე ინებოს მამრმან ანუ მდედრმან დიდმან ანუ მცირემან ანუ ჩვენსა შემდგომმან დედუფალმან შლად წერილისა ამის და ესე ჩვენ მიერ შეწირული მომძლავრს ეკკლესიასა შენსა: ეყავ მის შურის მეძიებელ: ქრისტეს: იესოს: წინაშე დღესა მასა საშინელსა. მართალ მსაჯულო მისისა ოდეს მოვიდეს განსჯად ადამიანთა და ამასცა სოფელსა შერისხენ დაუხეთქენ ძლიერად კვერთხითა: მღვდელთ მთავრობისა შენისათა თავსა მისა: და წარმოაგდებინენ: ორთავე თვალთა გუგანი: და ამოუწყვიდნენ ყოველნი საწადნი და საყვარელნი: ხოლო ქვეყანასა მისა ნუმცა მიეცეს ცვარი ზეცით რათა არ მოსცეს სიპოხე საზრდელად: არამედ განიკაფოს შიმშილითა შვილნი და სახლეულნი მისნი კვალად საზრდელ სასმელი მისი იქცეს გველად: სამსალად: და სისხლად ძღარბისად ყოველსად. იყავნ წყევასა და შეჩვენებასა თანამდებ ათ ორთა მოციქულთასა შვიდთა კრებათასა და ოთხთა მსოფლიოთ: პატრიაქთასა ხოლო. დამამტკიცებელნი და მჭიშრედ დამბეჭდველნი ამისნი: იყავნ კურთხეულ კურთხევა ვით აბრამითითა ამინ. აწ იქმენ ამა წერილისა მოწამე: ბიძა ჩემი წულუკიძე გიორგი: მოძღვარი ჩვენი მღვდელი იშხნელი ნიკოლოზ ქილევთითა ერთ უხუცესი. ჩვენი ნიჟარაძე ზურაბ აღიწერა ხელითა იშხნელის ვრიკოლისათა. ქორონიკონს ჩ:უ:ზ: ოკდომბერს (გ) ამა მიზეზისათვის ყოველთა მარიამობას ნიკოლოზსა წმიდის ეკკლესის მასაუდრე ნიკოლაოსს წმინდელი ვინც იქნას საუკუნოდ ჩვენი მწირველი იქმნას თავისის კრებულით რომლის ხელშიდაც გამოეშალოს ჩვენის ცოდვის მაგიერ განიკითხოს სიკოცხლეში ცოცხლისთვის და მერე მიცვალებულისათვის საუკუნოდ.

ჩვენ ყოვლად უსამღვდელოეს ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს ვამტკიცებ სიგელს ამას ვინცავინ შლად ხელჰყოს ვწყევ და მევაჩვენებ ზეგარდმოისა მადლისა და მათ მაგიერად ჩვენდა მოცემულთა ხემწიფებად.

ჩვენ თავადნი და მდივან ბეგნი იმერეთისანი ჩიჯავაძე ვახუშტი, ჩხეიძე როსტომ, აბაშიძე როსტომ, ლორთქიფანიძე ოტია, ამა ჩვენისა დედოფლისა დადიანის ასულისა მარიამის მიერ მოცემულის სიგელს ვმოწმობთ დავასვამ ბეჭედსა ჩვენსა.

---

შენიშვნა. ამ საუკუნის დამდეგს ქუთათელად იყო დოსითეოს. ექზარხოს თეოფილაქტეს დაუხვდა იგი ქუთაისში იმერეთის სამღვდელოებით. დედოფალთ დედოფალი მარიამ იყო მეუღლე სოლომონ მე-II. იგი იყო ქალი კაცია დადიანისა. † 1841 წ. პეტერბურგში.

# ახალი ამბები და შენიშვნები.

5 ამა თთვისას პეტერბურგში გარდაიცვალა 77 წლის მოხუცი ქართველი დამსახურებული პროფესსორი ქართულის ენისა და სიტყვიერება—ისტორიისა ყველასგან დიდად პატივცემული დავით, იესეს ძე ჩუბინაშვილი. განსვენებულის ბიოგრაფიული მოკლე ცნობები იბეჭდება ამავე ნომერში.

*
* *

«ივერია»-ში იბეჭდება ერთი გაუთავებელი სტატია «მოკლე მიმოხილვა ჩვენი სალმრთო და საეკკლესიო წიგნების მდგომარეობისა». ამ სტატიის ავტორი, როგორც ეტყობა, ძლიერ გამსჭვალულია რომის-ფრანგთა ალსარების მიმართულებით და ალძრულია პიროვნული ანგარიშებით ჩვენს წინაალმდეგველით მოუთმენელად ამ გაუთავებელი სტატიის დაბოლოვებას, რომ ვრცლად და ნათლად დავანახოთ მკითხველს საზოგადოებას სტატიის ავტორის შემცდარი აზრი და იეზუიტური მოქმედება სიმართლის გამოაშკარებაში. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ავტორი ამ სტატიისა, თუ მას რაიმე სიმართლე მიუძღვის საზოგადოების წინაშე, ნიღაბს ჩამოიხსნის და საზოგადოებას თავის სახელით და გვარით ეჩვენება.

*
* *

სენაკის მაზრის სოფლის კიწიის ერთი მრევლთაგანი გვაცნობებს ჩვენ, რომ ამ სოფლის მრევლის მღვდელი სამსონ ჩაჩიბაია სამწყსოთა სასარგებლოდ მსახურებს და ცხადათ განირჩევა იგი წინანდელი მწყემსებისაგანო. ავტორი იმედს აცხადებს, რომ კიდევ უმეტესად განვითარდება ეს სულიერი მამა და მისი სამსახურით ყველანი კმაყოფილნი დარჩებიანო.

ჩვენის მხრით გულით და სულით ვისურვებთ, რომ ეს იმედი ხსენებულს სამწყსოს ნამდვილად აღუსრულდეს.

* *
*

წყემის წმიდის ბარბარეს ეკკლესიის მღვდელი არსენ ჭალაგანიძე მადლობას სწირავს მისდამი რწმუნებული ეკკლესიის მრევლთაგანს იესე რატიანს, გი-

გო და ბახვა ჰალალანიძეებს, რომელთაც შეუწირავსთ ზემოდ აღნიშნული ეკკლესიისათვის-პირველს ფრაქის საცეცხლური, მეორეს — ღვთის-მშობლის ხატი და მესამეს—ერთი წყვილი შანდალი, ტრაპეზზედ დასადგმელი.

***

სოფლის შრომის წმ. მაცხოვრის ეკკლესიის მღვდლის მ. დიმიტრი ანთაძისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი გაზეთში დასაბეჭდათ:

«მ. რედაქტორო, უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ, რომ თქვენის გაზეთის «მწყემსი»-ს შემწეობით გულითადი მადლობა შევსწირო იმ პირთ, რომელთაც ჩემდამი რწმუნებულს ეკკლესიას შემოსწირეს სხვა და სხვა საეკკლესიო ნივთები და მასთან გთხოვთ დაბეჭდოთ შემწირველთა სიაც».

რომანოზ ლაბაძემ თავის საშუალებით ააშენა სამრეკლო, რომელიც დაუჯდა ორმოც თუმნამდე; მანვე შემოსა სახარება, რაიცა დაუჯდა ერთი თუმანი; შემოსწირა კანკელი, ღირებული 16 მ.; ივანე ბეჟანის ძემ ლაბაძემ—ერთი ოლარი და 1 დიდი დაფარნა, ღირებულნი 11 მანეთად; ამირან ლაბაძემ— 1 ხალიჩა ტრაპეზის წინ დასაფენი, ღირებული 10 მ., გიორგი ხვანიძემ და მისმა მეუღლემ მარიამ ჭუმბურიძის ასულმა— ორი დაფარნა, ღირებულნი 6 მ.; რომანოზ მახათაძემ— 1 მორჩილი კანკელს მაცხოვრის ხატის წინ ჩამოსაკიდებელი, ღირებული 3 მ.

***

სოფლის საქარის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი ფილიმონ ბარბაქაძე გულითად მადლობას უძღვნის დაბა ყვირილის მეორე გილდის ვაჭარს რაფიელ თეიმურაზის ძეს გველესიანს, რომელსაც ზემოდ აღნიშნული ეკკლესიისათვის შეუწირავს 2 ბაირახი, ღირებულნი 25 მანეთად.

## საეჭვო კითხვების განმარტება.

ჩვენ მივიღეთ დასაბეჭდად და პასუხის მისაცემად ერთი პატივცემული სასულიერო პირისაგან შემდეგი წერილი:

«ა) სასულიერო გამომძიებელს ნება აქვს თუ არა, არ მიიღოს აღდგენილი საქმის დასამტკიცებლად წერილობითი საბუთები მომჩივან-მოპასუხისგან, უმეტეს მაშინ, როდესაც გამოცხადებული საქმის დამტკიცება მოწმებზე არ არის დაყენებული, არამედ წერილობით დამტკიცებაზე?

კანონში ნათქვამია: ყოველგვარი შინაური წერილიც მიიღება საქმის დასამტკიცებლად. ნუ თუ წინაშე კანონისა და საზოგადოებისა უფრო მნიშვნელობა და ძალა არა აქვს: ოფიციალურ მიწერ-მოწერას, საეკკლესიო საბუთებს, შემოსავალ-გასავლის წიგნებს და სხვ.?

ბ) როდესაც საქმე, თითოეული ნათქვამი საგნის შესახებ, ცხადი ფაქტებით საკმაოდ ახსნილია და დამტკიცებულია, წინააღმდეგ წერილობით დამტკიცებათა, წინააღმდეგ საქმის პატრონის სურვილისა, წინააღმდეგ არსებული საკმაოდ ფაქტებით ახსნილი საქმისა, მოწამე მიიშვება თუ არა?

და გ) ვთქვათ: მთავრობამ შეეწია ერთს ღარიბს ეკკლესიას 500 მანეთით. ამ ფულზედ შედგა კომიტეტი, რომ შინაურული სახით ამ ფულებიდამ გააკეთონ ის, რაც უფრო საჭიროა ამ ეკკლესიისათვის. ამის მაგიერ ერთი მათგანი იძახის: წარსული და მომავალი, რისაც მნიშვნელობისაც უნდა იყოს, კომიტეტის ფულებში შედის თუ არა, იმ ეკკლესიის არის თუ სხვისი, კანონიერია თუ არა, ყოვლისფრის ნება მაქვსო. რაც არ ეკუთვნის კომიტეტის მინდობილებას, და, რაც არ შეეხება იმ საგანს, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს საქმისადმი, ნუ თუ უფლება აქვს, მით უმეტეს, რომელ განსაკუთრებით ამ 500 მანეთზეა კომიტეტი და არა, როგორც საეკკლესიო მზრუნველნი.— მაგრამ, ის რომ, როგორც ყველას მოეხსენება, ზოგიერთებს უყვართ თავიანთი გუნებაზე საქმის წარმოება და სამართალი...

მღვდელ...

---

1) პირველი კითხვის პასუხი: რასაკვირველია უნდა მიიღოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2) მეორე კითხვის პასუხი: არ მიიშვება.

3) მესამე კითხვაზედ, პასუხს ვერ ვიძლევით, რადგან დედა აზრი ძლიერ გაურკვევლად არის გამოთქმული და, თითქმის, პასუხსაც კითხვის მომცემი აძლევს თავის თავს...

---

## წერილი რედაქტორთან.

### I

მ. რ! უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გაზეთის „მწყემსი"-ს საშუალებით აგვიხსნათ: მოვალენი არიან თუ არა საზოგადოდ ეკკლესიათა კრებულნი, აუქმონ ხალხი შემდეგ დღეებში: 1 «ქვაშვეთობას» (აღდგომის შემდეგ მეორე კვირიაკის შაბათს), 2 «ზადიკობას» (მეოთხე კვირ. ოთხშაბათს), 3 «ზღუდრობას» ამავე კვირ. შაბათს), 4 «დავითობას» (ამაღლების სწორზე), 5 შვიდს და რვას მაისის თვის რიცხვებში და 6 ყოველ ორშაბათ დღეს (აღდგომის დღიდგან გიორგობისთვემდი).

ეს კითხვა ბევრს გააკვირვებს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ კახეთში ეს დღეები ბევრგან საყოველთაო უქმეებათ მიაჩნიათ და ბევრი მღვდელთაგანი კიდევაც აუქმებს ხოლმე ხალხს ამ დღეებში.

წარსულ წელში ამგვარი კითხვას ახსნას გთხოვდათ ერთი აქაური მღვდელი ა. ტ. და თქვენ კიდევაც აღუთქვით, რომ „ამას შესახებ ჩვენ ჩვენს აზრს გამოვსთქვამთ შემდეგ ნომერშიო». (იხ. «მწყემსი» № 20 1890 წ.), მაგრამ, თუ არა ვსცდებით, ეს აზრი აღარ გამოგითქვამსთ, თუმცა ძალიან საჭირო იყო.

ეხლა კი სრული იმედი გვაქვს, რომ ამ კითხვას უყურადღებოდ არ დასტოვებთ, რადგან ძლიერ საჭიროა ამ შემთხვევაში თქვენი აზრი.

მღვ. ი. ვა—შვილი.

---

ამისთანა საქმეში ჟურნალში ახსნილი და განმარტებული სიტყვებით ვერ დავეხმარებით ხალხს. ამისთანა კითხვების განმარტება და უკანასკნელი სიტყვის წარმოთქმა ეკუთვნისთ ადგილობითი მღვდელ-მთავართა და მღვდელთა კრებას, რომლის შესახებ ჩვენ ჩვენი აზრი კიდეც გამოვსთქვით. ვიდრემდის ეს კრება შესდგებოდეს, საჭიროა ეკკლესიის ტიბიკონით ვიხელმძღვანელოთ.

---

### II

მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ განგვიმარტოთ შემდეგი საჭირო კითხვა: ორმოცი წლის დამსახურებული მღვდელი რომ გარდაიცვალოს, დასაფლავების დროს ეკკლესიის შესამოსლით უნდა იქმნეს შემოსილი იგი, თუ ჭირისუფალმა უნდა მოიპოვოს ამ საჭიროებისათვის საჭირო სამკაული გარდაცვალებული მღვდლისათვის?

მღ. ფ. ბარ—ძე.

---

რამდენ ხანსაც უნდა იყოს მღვდელი ნამსახური, ეკკლესიამ უნდა მისცეს მას საჭირო შესამოსელი დასაფლავების დროს. ამას გარდა მღვდლის სამსახურს ეკკლესიაში იმოდენი პატივი აქვს, რომ თუ მას ჰსურს, გარდაცვალების შემდეგ უსასყიდლოდ ეკკლესიაში უნდა დაიმარხოს იგი. მაგრამ თუ მღვდელს გარდაცვალების შემდეგ კარგი შეძლება რჩება და ეკკლესია კი ძლიერ ღარიბია, მაშინ უკანონო იქნება, რომ ის ერთი ხელი შესამოსელი, რომლის მეტი ეკკლესიას არ გააჩნია, გარდაცვალებულს მღვდელს ჩაატანონ სათვალავში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მიიღება ხელის-მოწერა 1891 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულს

# „მწყემსზედ“

## და

## რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზედ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახორციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა, ზემოხსენებულის პროგრამმის აღსრულების გარდა, არის—1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწყემს»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაშორებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

### ფასი გაზეთისა:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თვით | «მწყემსი» | 5 მ. | 6 თვით | «მწყემსი» | 3 მ. |
| — ,, | ორივე გამოცემა | 6 » | — ,, | ორივე გამოცემა | 4 » |
| — ,, | რუსული ,, | 3 მ. | — ,, | რუსული ,, | 2 მ. |

რედაქციას აქვს კანტორები: **ქუთაისში** ხანანაშვილების სახლებში და **ყვირილაში** რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც **ყვირილაში**, აგრეთვე **ქუთაისშიაც**.

გარეშე მცხოვრებთა გაზეთის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: **Въ Квирилы, въ редакцію газетъ „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».**

---

# კერძო სამკურნალო

## ს. ბ. თოფურიასი

## მომსვლელთა ავათმყოფთათვის

## და

## მუდმივ საწოლებით.

ავადმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის ცხრა საათიდამ სამ საათამდის: **შინაგანი ავათმყოფთათვის** მიიღებს ს. ბ. თოფურია. **ხირურგიულისა და ვენერიულისათვის**—ლ. ა. გავსეევი. **სბებით და ქალის ავადმყოფობისათვის**—ექიმი-ქალი მ. ფ. ქალანი. **ელექტრონით ექიმობას** იკისრებს კვირაში სამჯერ (კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით) **ნაშუადღევის ხუთ საათიდამ შვიდ საათამდის ქუთაისის სამხედრო** საავადმყოფოს უფროსი ექიმი, საექიმო მეცნიერების დოქტორი ქეიხელი.

**სამკურნალოსთან** არის გამართული კაბინეთი ავათმყოფთა დასაზელად (მასაჟისათვის) ექიმების ხელმძღვანელობით და კაბინეთი შარდისა და ნახველის გამოსაკვლევად.

ფასი ექიმობისა თითოეულ ნახვაზედ ათი შაური. კონსილიუმი (რჩევა), რომელიც შესდგება სამკურნალოს ყველა ექიმებისაგან, ღირება 3 მანეთის. შარდის თვისებათა გამოკვლევა—ერთი მანეთი; შარდის გამოკვლევა რაოდენობის მხრით—სამი მანეთი; მიკროსკოპით გამოკვლევა ნახველისა—ორი მანეთი; დაზელვისა (მასაჟის), ელექტრონით ექიმობისა და აგრეთვე საავადმყოფოში დაწოლისა და მოვლის ფასი—გარიგებით.

მომსვლელ ავადმყოფებს მიიღებენ ბალახვანის ქუჩაზედ, სტეფანოვის სახლში. მუდმივი ქვეშაგებიან-საწოლიანი სამკურნალო იმყოფება ბოკერიას სახლებში, ქუთაისის ბულვარის პირ-და-პირ.

**სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.**

---

შინაარსი: კიდევ ქართული საეკკლესიო გალობის შესახებ.—† დავით იესეს ძე ჩუბინაშვილი.—დ. ფ. ფურცელაძე.—გლადიკავკაზიდგან.—წერილი რედაქტორთან.—«ჩვენ გავიმარჯვეთ!»—მუშის სიხარული (ლექსი).—წესდებანი წერა კითხვის სკოლებისა.—სასტორიო მასალა.—ახალი ამბები და შენიშვნები.—საეჭვო კითხვების განმარტება.—განცხადებანი.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Доз. цензурою. Кутаисъ, 14 Іюня 1891 г.
Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ домѣ бр. Ханановыхъ на Нѣмецкой ул.